

სს „საპარტნიორო
ფონდი“

და

სსიპ „საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია“

მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ

24 ივნისი 2014წ.

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სს „საპარტნიორო ფონდი“ (შემდგომში - „ფონდი“), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოვზანაძის სახით და, მეორე მხრივ, სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ (შემდგომში - „აკადემია“) წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის აკადემიკოს გიორგი კვესიტაძის სახით (შემდგომში - „მხარეები“), გამოვთქვამთ მზადყოფნას თანამშრომლობის შესახებ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. თანამშრომლობის მიზანი

მხარეებს შორის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-ტექნოლოგიური ხასიათის საკითხებზე თანამშრომლობის დამყარება.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფარგლები

წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად -

2.1. „ფონდი“:

- ა) ორმხრივად შეთანხმებული პირობებით, ხელს შეუწყობს „აკადემიის“ წევრებს სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-ტექნოლოგიური ხასიათის პროექტების

განხორციელებაში, ჩართავს (გამოიყენებს) “აკადემიის” პოტენციალს საკუთარ პრიორიტეტულ კვლევებში;

ბ) “აკადემიის” მომართვის შემთხვევაში და ერთობლივი პროექტების განხორციელებისას უზრუნველყოფს “აკადემიისა” და “ფონდის” წარმომადგენელთა საჯარო ან სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას;

2.2. “აკადემია”:

ა) მემორანდუმის მიზნებიდან (ამოცანებიდან) გამომდინარე, უზრუნველყოფს ერთობლივი პროექტების განხორციელების ორგანიზებას “აკადემიის” წარმომადგენელთა მონაწილეობით;

ბ) “ფონდის” მომართვის შემთხვევაში, უზრუნველყოფს “აკადემიისა” და “ფონდის” წარმომადგენელთა საჯარო ან სამუშაო შეხვედრების, ერთობლივი საქმიანობის ორგანიზებასა და პირობებს;

გ) “ფონდის” მომართვის შემთხვევაში, განახორციელებს ამა თუ იმ სამუშაოებისა და პროექტების საექსპერტო შეფასებასა და პერსპექტიულობის განსაზღვრას.

მუხლი 3. სხვა დებულებები

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. მისი მოქმედება უვადაოა.

3.2. “ფონდი” და “აკადემია” პოპულარიზაციას უწევენ ერთობლივ პროექტებსა და მათ შედეგებს;

3.3. მემორანდუმი არ შეიცავს მხარეთა ვალდებულებებს, ის არ წარმოადგენს სავალდებულოდ შესასრულებელ დოკუმენტს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასში მოცემული დონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია თითოეული მხარის ნებაზე, შესაძლებლობაზე ან/და კომპეტენციაზე. “მხარეები”, თითოეულ ერთობლივ პროექტზე გააფორმებენ შესაბამის წერილობით დოკუმენტ(ებ)ს, რომლებშიც

განისაზღვრება პროექტის განხორციელებაში თითოეული მხარის მონაწილეობის საკითხები.

3.4. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ნებისმიერ დროს. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე ამის თაობაზე მემორანდუმის შეწყვეტამდე არაუგვიანეს ერთი თვისა აცნობებს მეორე მხარეს;

3.5. მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითოეულ მხარესთან ინახება ხელმოწერილი მემორანდუმის თითო ეგზემპლარი.

ხელმოწერილი მხარეები:

სს “საპარტნიორო ფონდი”

ს/კ 404404550
მისამართი: 0108, ქ. თბილისი,
ვ. ბერიძის ქ. 6

აღმასრულებელი დირექტორი
ირაკლი კოფხანაძე

სსიპ “საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია”

ს/კ 203851536
მისამართი: 0108, ქ. თბილისი,
რუსთაველის გამზ. 52

პრეზიდენტი
გიორგი კვეციანი